



საბჭოთა საქართველო

66 წლიანია!

ეროვნული
ბიზლიროთეკა

ახალი გადასახელება

საბჭოთა საქართველო 66 წლისაა. რა შორს წავიდა ამ პერიოდში ჩვენი რესპუბლიკა, როგორ ამაღლდა, როგორ გაიზარდა, რა უკიდურესი ვახდა მისი შესაძლებლობები, როდენ მნიშვნელოვანია ჩვენი მიღწევები სახალხო მეურნეობის მრავალ დარგში, მეცნიერებაში, კულტურაში, ხელოვნებაში, სპორტში...

საბჭოთა საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობა ზუსტად იმდენი წინსვლა, რამდენსაც თვით საბჭოთა რესპუბლიკა. იმთავითვე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ახალგაზრდების ზრუნვას. ამ ზრუნვა-ყურადღებაში შექმნა ის მტკიცე საფუძვლები, რომელთა მეშვეობით უკვე 20-იანი წლების მერვე წლებში და 30-იან წლებში საბჭოთა საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობა უკვე მოწინავედა რიგებში ჩადგა. ყოველთვის, როცა სახვამოდ აღვნიშნავთ საბჭოთა საქართველოს დაბადების დღეს, გვირგვინ პატივის მივაგებთ იმ ადამიანებსაც, ვინც ჩვენი ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის აკვანთან იდგა. მათი პატრიოტიზმი, ერთუზიანობა და საქმიანობის თავდადება შემდგომი თაობების ცხოვრების წესად იქცა. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში შეიქმნა იმის რეალური შესაძლებლობები, რომ ფიზკულტურა და სპორტი ხელშეწყობილი გამხდარიყო მოსახლეობის ფართო ფენებისათვის. ჩვენს რჩეულ სპორტსმენებს კი ღირსეული წვლილი შეაქვთ როგორც რესპუბლიკის, ისე მთელი საბჭოთა სპორტის სახელისა და ავტორიტეტის განდიდება-განმტკიცებაში.

საქართველო ინტერნაციონალური რესპუბლიკაა. სხვადასხვა ერებისა და ეროვნებების წარმომადგენელთა ძმური სიყვარული და მეგობრობა სპორტშიც გამოიხატა. იმთავითვე ინტერნაციონალური იყო ჩვენი სპორტული გუნდები. მეტიც, გავიხსენოთ 1928 წლის საკავშირო სპარტაკიადი, როცა ამიერკავკასიის სპორტულ დელეგაციამ ერთ კოლექტივად გამოდიოდნენ ამიერკავკასიის მოამრე რესპუბლიკების ყველა ერი და ეროვნების წარმომადგენლები. ჩვენი ახალგაზრდობა წინაპართა შესანიშნავ ტრადიციებზე იზრდებოდა. ამ საქმეში, ცხადია, თავისი წვლილი შეაქვს ფიზკულტურასა და სპორტს, სფეროს, რომელმაც ასე დაახლოვა და დაამეგობრა მილიონობით ადამიანი, რომელიც მასობრივი გაჯანსაღების, ხალხის კეთილდღეობისათვის სახელმწიფოებრივი ზრუნვის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად იქცა. საბჭოთა საქართველოს სპორტული მიღწევების ახალი გადასახედიდან ახალი სიმაღლეები მოჩანს, ეს სიმაღლეები ახლანდელმა და მომავალმა თაობებმა უნდა დალაშქროს.

ისტორიის საფუნეზრები

პირველი ნაბიჯები

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წლებში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარება ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების სამსახურში ჩადგა. ამ ამოცანების გადაჭრას მყა-

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საბჭოთა საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახალხო ფიზკულტურული კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

25 თებერვალი, ოთხშაბათი, 1987 წ.

№ 39 (9450)

საბჭოთა საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახალხო ფიზკულტურული კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან • ზანი 8 კაპ.

გუშინ მოსკოვში,
კრავლის ყრილობათა
სახასალუში განიხსნა
სსრ კავშირის
პროფკავშირთა
XVIII ყრილობა

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი წყალბურთში

ახალგაზრდების ჯეირის დადგა


მოსკოვის ოლიმპიური სპორტული კომპლექსის საცურაო აუზი.
„დინამო“ (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (ხარკოვი) — 8:7 (5:2, 2:1, 1:2, 0:2).
„დინამო“: ტუკვაძე, გორგაძე, გვახარია, კუტივაძე, ნიკოლიაშვილი, კოლუაშვილი, კანდელაკი. მათ გარდა თამაშობდნენ: ზუმბულიძე, ბა-

ლათურია, ბითაძე, მაქავარიანი, რამიშვილი.
„ლოკომოტივი“: ნოვოხადკო, შევცოვი, გორბატოვსკი, ხოსნოვსკი, ბევესილი, ფედოროვი, ფატაიანი. მათ გარდა თამაშობდნენ: რედკო, ვოლკოვი, კოლტოჩინი, დროკინი, ბევერხინი.

მრავალი წელია თბილისის „დინამოს“ ოსტატ წყალბურთელთა გუნდის გამოსვლებს ვესწრები და ისეთი ოფიციალურ შეჯიბრებას ვერ ვინსენებ, რომელშიც ჩვენი გუნდის სათადარიგო მოთამაშეები მატჩის მსვლელობისას ისე მშვეილად და აუღლებლად მსხდარიყენენ, როგორც ხარკოვის „ლოკომოტივთან“

შეხვედრის დროს ისხდნენ. მართალია, „ლოკომოტივი“ უმძლავესი ლიგის ერთ-ერთი სუსტი გუნდია და იგი თბილისის „დინამოს“ გამოცდილებითაც ჩამორჩება, მაგრამ „მარშანდელ ჩემპიონატი“ ხარკოველებმა ბოლო ტურში დაამარცხეს თბილისელი დინამოელები. მაშინ „ლოკომოტივმა“ საკავშირო ჩემპიონატების ისტორიაში თავისი საუკეთესო შედეგი აჩვენა — VIII აღგვილი დაიკავა. ჩვენი ბიჭები გამარჯვების მოსაპოვებლად გამოვიდნენ სარბიელზე. წარმატებაში მწვრთნელიც ღრმად იყო დარწმუნებული, იმდენად ღრმად, რომ თამაშისას ერთგვარ ექსპერიმენტს მიმართა — თუ წინა შეხვედრებში სარბიელზე ვეტერანი და ახალგაზრდა წყალბურთელებისგან „შეხვედრული“ გუნდი გამოჰყავდა, ახლა პერიოდების მიხედვით ახალგაზრდა და ძველი გვარდია შეუნაცვლა ერთმანეთს და ამით გამოცდილ კუტივაძეს, ზუმბულიძეს, კოლუაშვილსა და გვახარიას დასვენების საშუალება მისცა, ახალგაზრდებს კი ნამდვილი გამოცდა მოუწყო.

ამ მატჩში მონაწილეობა არ მიუღია მეკარე გორგაძეს. უნდა რა-




მს. 39-4 33.

ზაურ ივანაშვილი პირველია



ახალი სპორტული სეზონის ერთი პირველი საერთაშორისო შეჯიბრება კლასიკურ ჰიდობაში ბულგარეთის ტურნირი გახლდათ. ქალაქ ლოვეცში გაიმართა სინტერესო შეჯიბრება, რომელშიც ევროპის ქვეყნების უძლიერესი მოჭიდვეები გამოდიოდნენ. წარმატებას მიაღწიეს ბულგარეთის ათლეტებმა. შვიდ წონაში მათ ოქროს მედლები დაისაკუთრეს. სამ წონით კატეგორიაში წარმატება საბჭოთა კლასიკოსებს ხვდათ, მათგან ახალგაზრდებს შორის მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს, წლეგანდელი საკავშირო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორს, თბილისელ ზაურ ივანაშვილს. იგი უძლიერესი იყო 90 კგ წონით კატეგორიაში. ივანაშვილის გარდა ოქროს მედლები საბჭოთა მოჭიდვეთაგან მოიპოვეს ომსკელმა ალექსანდრე ივანტეკოვმა (52 კგ) და მოსკოველმა ვიქტორ მალიოვმა (82 კგ).



ზარბისლავა, ტატრებში (ჩეხოსლოვაკია) სახეიშო ვითარებაში გაიხსნა სტუდენტთა ზამთრის მსოფლიო თამაშები. ამ პრესტიჟული შეჯიბრების პირველი ოქროს მედალი 19 წლის ბანსკა-ბისტრიცელმა სამთომთილატურემ პეტრ იურკომ მოიპოვა. იგი უძლიერესი იყო გიგანტურ სლალომში. თანაგუნდელის წარმატება გაიმეტოა ლიუდმილა მილანოვამ, რომელიც ქალთა სლალომში გახდა ჩემპიონი. დიწყო პოკეისტო ტურნირიც. საბჭოთა ნაკრებმა პირველი შეხვედრა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გუნდთან ჩაატარა და გაიმარჯვა — 10:5, შემდეგ კი შეუპოვარ ბრძოლაში მინიმალური ანგარიშით სძლია კანადელებს — 4:3. ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა დაამარცხა იაპონელი პოკეისტები — 4:1. კანადელებმა მოუგეს სამხრეთკორეელებს — 14:1.

საკონტროლო, საქრთა შორის...

ბაბრა (ტელეფონით, ჩვენი სპეცკორ.). შავი ზღვისპირეთში მიმდინარეობს ფეხბურთელთა საერთაშორისო საწვრთნელი ტურნირი. გუშინ ლანჩხუთის „გურია“ შეხვედა პოლონეთის ქ. კრაკოვის გუნდს „ვისლას“. მატჩი დამთავრდა ფრედ — 2:2. ლანჩხუთელთაგან ბურთები გაიტანეს ხაგბამ (55 წთ.)

და ფრიდონაშვილმა (90, პენალტით). „გურიაში“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: იმნაძე, დანელია, გოლიგაშვილი, ე. თევზაძე, კონდრატიევი, ჩხაიძე, ა. კაპანაძე (ტყეშუჩაძე), ტ. კაპანაძე (ფრიდონაშვილი), ზონდარუჯი, ხლუხი, ხაგბა. შაია მახსინა.

რის იდეური და მატერიალური საფუძველი სჭირდებოდა და მთელმა ჩვენმა ქვეყანამ, ხალხმა საქმიანობა ამ მიმართებით წარმართა. ეს, სხვათა შორის, ნათლად ჩანს იმდროინდელ კანონებში, დადგენილებებსა და დოკუმენტებში, იმ პირველ წარმატებებში, რასაც გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის სპორტსმენები აღწევდნენ მაშინდელ შეჯიბრებებში.

1921 წელი.
13 მაისი. ვ. ი. ლენინმა ხელი მოაწერა დეკრეტს „დასასვენებელი სახლების შესახებ“, რომელშიც ფიზიკური კულტურა გამაჯანსაღებელ ფაქტორად გამოცხადებული.

22 ივნისი. მოსკოვში შეიქმნა წითელი სპორტული ინტერნაციონალი. მისი ერთ-ერთი ამოცანა იყო სპორტის დარგში მჭიდრო კონტაქტების

გამონახვა კაპიტალისტური ქვეყნების მუშა სპორტსმენებთან და მათთან ინტერნაციონალური მეგობრობის გაღვივება.

მს. 39-2 33

პირველი ნაბიჯები

(დასასრული)

ოქტომბერი. კომკავშირულ ორგანიზაციებს დევალატი ფიზიკურ კულტურისა და სპორტის განვითარებაზე ზრუნვა და ამ მიმართებით მუშაობის შემდგომი გააქტიურება.

1922 წელი.
14 აგვისტო. რუსეთის რევოლუციური სახელმწიფო საბჭოს ბრძანებით სპორტულ-ტანვარული მოძრაობა ჯარის მომზადების საფუძველად ფორმალად გამოცხადდა.

20 სექტემბერი. მოსკოვში გაიმართა რუსეთის სპორტსმენთა პირველი საერთაშორისო შეხვედრა: ზამოსკვარეციის სპორტული კლუბის ფიზიკურთელთა გუნდმა ანგარიშით 7:1 დაამარცხა ფინეთის მუშათა სპორტული კავშირის ნაკრები.

ოქტომბერი. მიღებულ იქნა დადგენილება „ფიზიკურ კულტურაზე“. დადგენილებაში ხაზგასმული იყო, რომ კომკავშირმა დიდი როლი უნდა ითამაშოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების სახელმწიფოებრივ საქმეში.

8 ნოემბერი. საქართველოში რევოლუციურ ხარისხში შექმნილი სპორტ-საზოგადოებები. ისინი შეცვალა ბავშვთა პოლიტიკურ-სპორტული საბჭოთა საზოგადოებამ — „სპორტკაპა“.

1928 წელი.
12-17 აპრილი. პროფკავშირების ცენტრალური საბჭოს პლენუმმა მიიღო დადგენილება საკლუბო მუშაობის გაფართოებაზე და მასში სპორტის გამოყენების თაობაზე.

17-25 აპრილი. მიღებულ იქნა რევოლუციური „კომკავშირის საქმიანობაზე“. ამ დოკუმენტის თანახმად სპორტის მიზანი იყო არა მარტო მოხარული თაობის ფიზიკური წრთობა, არამედ ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირისა და ახალგაზრდობის საერთაშორისო ურთიერთკავშირის გაფართოება.

18 აპრილი. ფ. ე. ძერჟინსკის ინიციატივით შეიქმნა სპორტული საზოგადოება „დინამო“.

27 ივნისი. სრულიადრუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო დეკრეტი ფიზიკური კულტურის უმაღლესი და ადგილობრივი საბჭოების შექმნის შესახებ.

აგვისტო. ადგილებზე დაიგზავნა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ცირკულარული წერილი „ფიზიკური აღზრდის დარგში მუშაობის შესახებ“.

1-16 სექტემბერი. მოსკოვში ჩატარდა რუსეთის ფიზკულტურული პირველი შეიქმნა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს 40-ზე მეტი გუბერნიის წარმომადგენლებმა. პირველი ადგილი გუნდურ ჩათვლაში უკრაინის სპორტსმენებმა მოიპოვეს.

საქართველოში შეიქმნა პირველი ფიზკულტურული წრეები პროფკავშირების ხაზით. ჩამოყალიბდა პირველი ხელმძღვანელი ორგანო — ფიზიკური კულტურის საბჭო.

საქართველოშიც შეიქმნა ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოება „დინამო“.

28 აგვისტო. საქართველოს მთავრობამ გიორგი ნიკოლაძის ხელმძღვანელობით მოაწესეს ასევე

მყინვარწვერზე. ამ პირველი ასვლის შესრულ კვირის თავზე მყინვარწვერი დალაშქრა მთამსვლელთა კიდევ ერთი ძაგუნდმა — საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორიის სამეცნიერო ექსპედიციამ პროფესორ ალექსანდრე დიდებულის ხელმძღვანელობით. საბჭოთა ალპინიზმის ისტორიას სწორედ ეს ორი ასვლა დაედო საფუძვლად.

1924 წელი.
11-12 ნოემბერი. გამოქვეყნდა პროფკავშირების VI ყრილობის რეზოლუცია, რომელშიც აღინიშნა, რომ ფიზკულტურამ პროფკავშირულ ორგანიზაციებში მტკიცედ მოიკიდა ფეხი, მაგრამ მის ყველაზე ერთნაირი წარმატებით არ ხელმძღვანელობენ.

საქართველოში ფიზკულტურული წრეების რაოდენობამ 96-ს მიაღწია, ამ წრეების წევრთა რიცხვმა კი 4 ათასს გადააჭარბა.

თბილისის უნივერსიტეტის გეოგრაფიის კაბინეტისა და 1850 წელს თბილისში დაარსებული რუსეთის სამიერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების ბაზაზე შეიქმნა საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება. ამ საზოგადოების ერთ-ერთი განყოფილება — მთასვლა მგზავრის განყოფილება — პირველი ალპინისტური ორგანიზაცია იყო საბჭოთა კავშირში.

საქართველოს სპორტსმენებმა პირველ დიდ წარმატებას მიაღწიეს საქართველო ჩემპიონატში. მძლეოსანთა მესამე პირველობაზე ქვეყნის ჩემპიონის სახელი სხვებთან ერთად მოიპოვეს თბილისელმა — ძმებმა ვლადიმერ და ბორის დიაჩკოვებმა, აგრეთვე ივანე სერგეევმა. ვლადიმერ დიაჩკოვი ჩემპიონი გახდა თარზბენში (17,4), სიმალეზე (1,65) და ჭოკით (3,375) ტორმაში, ბორის დიაჩკოვი — სამბტორში (12,14), ივანე სერგეევი კი ბაღროს ტყარცინასა (40,65) და ათქილში (5122 ქულა).

1925 წელი.
18 ივლისი. რუსეთის კ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ცნობილი დადგენილება „პარტიის ამოცანები ფიზიკური კულტურის დარგში“. დადგენილებაში ნათლად იყო ჩამოყალიბებული საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის მიზანობა და ამოცანები. იგი, ამავ დროს, მკაფიოდ განსაზღვრავდა ფიზიკური კულტურის იდეურ-პოლიტიკურ მნიშვნელობას. დადგენილებაში ფიზკულტურა განხილული იყო არა მარტო როგორც ფიზიკური აღზრდისა და გაჯანსაღების, არამედ მასების აღზრდის ერთ-ერთი საშუალება.

მოქმედი საქართველოს სპორტსმენთა პირველი გასვლა საზღვარგარეთ. ოქტომბერში თურქეთის ქალაქ ტრაპიზონს ბათუმელი ფეხბურთელები და ტანმოვარჯიშეები ესტუმრნენ. მათ გაჰყვა აგრეთვე სასულე ორკესტრი მუსიკოს საფთასის ხელმძღვანელობით. ამ შერეულ სპორტულ დღეეულობის შედეგად ბნენ აპარის ფიზკულტურული ორგანიზაციის დამაარსებელი დათა ვინოშვილი და ალექსანდრე აბინიძე. საქართველოს სპორტული დღეეულობის შემადგენლობაში 43 ვაჟი და 10 ქალი იყო. ფეხბურთელებმა ადგილობრივ გუნდებთან ორი შეხვედრა ჩაატარეს. პირველი მატჩი ჩვენებმა საკმაოდ დიდი ანგარიშით (7:1) მოიგეს, მეორე კი დათმეს — 1:2. თურქეთის სპორტის მოყვარულებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ტანმოვარჯიშეთა საჩვენებელმა გამოსვლებმა; აგრეთვე სასულე ორკესტრის მალაღობა საშემსრულებლო ოსტატობამ...

მარადსასწრაფი შეხვედრა

ერთხელ (1963 წლის 9 სექტემბერს) სტუმრად ვახლდით აკადემიკოს გიორგი ახვლედიანთან, როცა მას ბატონმა აკაკი შანიძემ მოაკითხა. ჩვენს საამყო მეცნიერებს ხანგრძლივი შეგობრობა აკავშირებდა, თითქმის ყოველდღე ხვდებოდნენ ერთმანეთს. თუ პირადად ვერა, ტელეფონით მაინც მოკითხავდნენ ერთმანეთს.

გიორგი, ერთი სათხოვარი მაქვს, — უთხრა ბატონმა აკაკიმ მეგობარს. — თუ შეიძლება შენს სტუმართან ჯადრაკი მათამაშე. მინდა ვიცოდე, რა ძალა მაქვს. სხვათა შორის, ოსტატმა მიხეილ შიშოვმა, რომელსაც შემთხვევით შევხვდი, მითხრა, კარგი მეორეთანრიგისანი ხარო.

გიორგიმ უკრძალვით მოუსმინა მეგობარს და ბოლოს გაკვირვებულმა კითხა:

...ჯადრაკის თამაში ორივე აკადემიკოსს ბავშვობიდანვე შეეყვარებოდა. გიორგი ახვლედიანისთვის თამაში უსწავლელია მის ზემოას ფოტინე ასათიანის სოფელ ღერძში (წყალტუბოს რაიონი), სადაც დაიბადა და ბავშვობის წლები გაატარა მან.

— ქვეყანი მოხუცი იყო, — იგონებდა ბატონი გიორგი. — ბევრი რამ იცოდა, ბევრი კითხულობდა... ჯადრაკის თამაში მარტო ახლობლებს კი არა, სოფლის ბავშვებსაც ასწავლა.

აკაკი შანიძეს ჯადრაკის თამაში ქუთაისის გიმნაზიის პანსიონში უსწავლია, მაშინ პანსიონში ჯადრაკი ნებადართული გასართობი ყოფილა და მოსწავლეებზე თავისუფალ დროს თავს იქცევდნენ თამაშით. მის მეტოქეთა შორის ყოფილან კლასის დამრიგებელი პლატონ

ლი იმიტომ დაერქვა, რომ კარის თავზე ჯადრაკის დედა გამოყვანილი ფერადი ქვებით. ეს ფაქტი იმის მაჩვენებელია, რომ ჯადრაკის თამაში სომხეთშიც ძალიან გავრცელებული ყოფილა ძველად.

იმ ჩემბოს ღირსსახსოვარ დღეს ბატონმა აკაკიმ თქვა: — ჯადრაკის დაფასთან ძალიან ვერთობი. ზოგჯერ ასეთი „დროსტორება“ 7-8 საათს ვაგრობებ... — არც მეც ხალისით ვთამაშობდი, — სიტყვა ჩაუროო ახვლედიანმა, — მაგრამ წლებმა თავისი გაიტანა და ჯადრაკი უკვე მღლის. სამაგიეროდ გულშემატკივრობას ვუბაძე — სისტემატურად ვაღწევებ თვალს მოჭარბაკეთა ასპარეზობას, ჯადრაკის ახალ ამბებს, ნონა გაფრინდაშვილის თავგამოდებული ქომაგი ვარ.

დაახ, გიორგი ახვლედიანმა ნონას მოსკოვში დეპუტატ მიულოცა მსოფლიო ჩემპიონობის მოპოვება, მერე თბილისში სასოვრად გადასცა ინდოელთა ღმერთის ზუნას ძვირფასი გამოსახულება.

აკაკი შანიძე გულშემატკივრობაში არ ჩამორჩენია მეგობარს. 1959 წელს თბილისში გამართულ საბჭოთა კავშირის ვაჟთა 26-ე ჩემპიონატს იგი სპეციალური აბონემენტით ესწრებოდა.

— მინდათა ახლოს გავცნობოდი დილისტატებს, მათ პარტიებს, — თქვა ბატონმა აკაკიმ. — ელოსაბედ ბიკოვასთან ნონას მატჩის დროს პარტიის შედგვის გაგებად არ ვიძინებდი. ზოგჯერ კიროვის სახელობის პარკში წვესულვარ პარტიის გარჩევას დასასწრებად.

1968 წელს აკაკი შანიძე წერდა: „გივი შევილაძეს ვუმაღლო, რომ სახელგანთქმულ ჩემპიონ ქალებს შეეძა ჯადრაკში, ნონა გაფრინდაშვილსა და ნანა ალექსანდრიას. თუ ნონასთან ყაიმს მივაღწეო, ალბათ, იმიტომ, რომ ის მიველი ძალით არ თამაშობდა. ნანასთან რომ ვთამაშობ, მცდარი ნაბიჯი გადავდგო, შეცდომა იმ წამსვე შევინახე და გენდები-მეთქი უფთხარ, მაგრამ მან არ ქნა: წასაგები პარტია არ გაქვითო, ის მცდარი ხელი დამიბრუნა და შემდეგ კი თამაში გათანაბრდა.“ მართალია, აკაკი შანიძეს თეორიის შესწავლისთვის არასოდეს მოუკლია ხელი, მაგრამ მისი დიდი მოწონება დაუმსახურებია ოსტატ ა. ბლომელფელდის პატარა წიგნს „კომბინაციები და მახეები“. რომელიც შინ აქვს, საკუთარ ბიბლიოთეკაში.

დიდი მეცნიერი ამბობს: ჯადრაკში „ყველაფერი ცოდნაზე დამოკიდებულია. იცი, მოიგებ, ან არ წააგებ მიხე, ყაიმს მიღწევი; ჯადრაკი გასართობია, მაგრამ გუნების მწერთელი. იგი ხელს უწყობს გონების განვითარებას, წინასწარ განჭკრეტას, თუ რა შეიძლება მოჰყვას ამა თუ იმ ფიგურის გადასას.“

ჩვენი პაექრება კარგა ხანს გაგრძელდა. რამდენიმე პარტია ვითამაშეთ. ეს ფოტოსურათიც მაშინ გადავიღეთ სახასოვროდ.

— მშაო აკაკი, შენ მართლა კარგი მოჭარბაკე ყოფილხარ, რაკი ამდენი ბრძოლის თავი გქონია, — შევაქმე მეგობარი გიორგი ახვლედიანმა.

ჩვენს მასპინძელს სახეზე ეტყობოდა, რომ ეკაფილი იყო თამაშითაც და შექმებითაც.

მერე სუფრით მიგვიწვია და ჯადრაკზე საუბარი იქ გაგავრძელით.

თენგიზ გომრბაძე.



სურათზე: მარცხნიდან — აკაკი შანიძე, გიორგი ახვლედიანი და ამ სტრატეგიის ავტორი, ფოტო გადაღებულია სახელოვან მეცნიერთან ავტორის ერთ-ერთი სტუმრობისას.

— აკაკი, შენ მართლა გინდა პაექრობა? — ნამდვილად ასეა, ჩემო გიორგი. რაც მთავარია, მსაჯი შენ იქნები. ანლა ნულარ ვაყვინებთ, წამოდი ჩემთან.

მეტი რა გზა ჰქონდა ბატონ გიორგის — ჩაიცვა პალტო, მოიპარკვა ხელჯოხი და გზას გაუღდეთ. — რომ გკითხონ, „ვეფხისტყაოსანზე“ მუშაობისთვის არ გყოფნის დრო... არავინ დაიკრებს, რომ აკაკი შენვე ჯადრაკს უთმობს საათებს.

— ხანდახან დაუჭერებელიც უნდა დაიჭერო... ბოლოსდაბოლოს შენსადილებლობა მომეცა გამოცდილი ჩემი „თანრიგისონობა“ და არ ვისარგებლო შემთხვევით? — გაეცინა ბატონ აკაკის.

შევედით წიგნებით და ხელნაწერებით, კატალოგებითა და ყურნალ-გახეუებით. სავე კაბინეტში. — დაბრძანდი სტუმრებო, — მიგვიბატია მასპინძელმა და პატარა მაგიდასთან წიგნები აიღო. — ეს არის ჩემი საქადრაკო მაგიდა.

— ეს მაგიდა და ჯადრაკი როდის შეიძინეთ? — ვკითხე მასპინძელს.

— 1925 წელს ვიყიდე. მოგწონთ? მაგიდა კობტა იყო, ჯადრაკის ფიგურები კი — სტანტონის სტილისა. მერე 1972 წელს აკაკი შანიძემ ეს ჯადრაკი ნონა გაფრინდაშვილს უსახსოვრა.

გავსულეთ ჯადრაკი და თამაში დაიწყეთ.

ბორის სოკოლოვის ფოტო.

წულუკიძე და თანაკლასელი ნიკო მახვილაძე, შემდეგში გამოჩენილი ექიმი და პროფესორი.

ერთხელ, 1909 წელს, ფშავში, სოფელ ხორხში ვიყავი სტუმრად ბიძაჩემთან, ბეგო შანიძესთან, — გაიხსენა ღვაწლმოსილმა მეცნიერმა. — იქ არავინ იცოდა ჯადრაკის თამაში, არც ჯადრაკი ჰქონდათ. ერთ ფშაველს ჩემი ესკიზების მიხედვით ხიდან გამოვათლვენი ფიგურები, მუყაურ დაეხატა ჯადრაკის უჯრები და შემდეგ ჩემს ბიძაშვილს ისინი ვასწავლე თამაში.

ორივე მეცნიერს ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე ბევრ სახელოვან მამულიშვილთან უბაქრია. აკაკი შანიძე ამბობს: რევოლუციის შემდეგ რომ თბილისს დავსახლდი და მერმე უნივერსიტეტის დაარსებაც მოხერხდა, კვლავ მომაგონდა ჯადრაკის ამბები. მითამაშია, მაგალითად, ანდრო რაზმაძესთან, ალექსანდრე ჯანელიძესთან, გიორგი ნიკოლაძესთან და სხვებთან.

1914 წელს აკაკი შანიძეს მოუხანხლებია ძველი ქალაქი ანისი. ქალაქის ერთ-ერთ კარს თურმე „ჯადრაკის“ რქმევი.

მეცნიერი იხსენებს: „მე ანისში ვიყავი 1914 წელს, აგვისტოში, როცა ნ. მარი იქ გათხრებს აწარმოებდა (მან, სხვათა შორის, მშვენიერად გამოსცა იქაური ქართული წარწერა ენივერ კათალიკოზისა, 1218 წლით დათარიღებული). მე მაშინ ზღუდეც ვნახე და ის ჯადრაკის კარიც, რომელსაც ეს სახე-

ინსილენტი რომ არა

ახლა ყველაზე გულმოდგინე მზადებაა სპორტსკოლების პირველი საკავშირო თამაშებისთვის, რომელსაც ამ ზაფხულს ჩვენი რესპუბლიკის ქალაქები უმასპინძლებს. ამიტომაც საქართველოს მოსწავლეთა ყველა შეჯიბრება ამ ეტაპზე ნაკრების წევრთა შემოქმედის ისახავს მიზნად.

ცხინვალში ახლახან სამბისტებმა იასპარეზეს. საქართველოს პირველობაზე საკავშირო თამაშების დებულელებით გათვალისწინებული ასაკის (1971-1972 წწ.) მოსწავლეები დაუშვეს. შეჯიბრება ჩატარდა 16 წონით კატეგორიაში, ზუსტად იმდენში, რამდენიც თამაშების პროგრამაშია მითითებული.

თავიანთ წონებში პირველ ადგილებზე გავიდნენ: ა. ჯავახიშვილი (საგარეჯო), ბ. ჯანიაშვილი (ქასპი),

მ. კურდელაშვილი (საგარეჯო), ვ. გოგიაშვილი, მ. ტეტუნაშვილი (ორივე — გორი), მ. თურქია (ფოთი), ბ. მამუკელაშვილი (ახმეტა), ნ. აღდგომელაშვილი (რუსთავი), ბ. გორგაშვილი (გორი), ი. კახაბრიშვილი, ა. ბიძინაშვილი (ორივე — თბილისი), დ. აკოფიანი (სოხუმი), ფ. ყვავილაშვილი (რუსთავი), გ. ბაკურაძე (ქუთაისი), ლ. მეტრეველი (ცხინვალე), ბ. ბახსოლიანი (თოლავი).

ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა საქართველოს მოსწავლეთა სამბისტთა ნაკრები გუნდის უფროს მწვრთნელს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს თენგიზ არაბულს და თხოვა ამ შეჯიბრების შესახებ თავისი მოსაზრება გამოეთქვა.

— ტურნირი კარგად იყო ორგანიზებული და ადგილობრივი გულშემატკივრებიც მრავლად მიიზიდა,

მაგრამ მოხდა ერთი გაუგებრობა. დებულეებით, შეჯიბრებაში მონაწილეობა უნდა მიეღო 170 მოჭიდავეს, ცხინვალში კი 248 ნორჩი სამბისტი ჩამოვიდა.

ეს ალბათ, ხამბოს პოპულარობაზე მიგვანიშნებს. — რა თქმა უნდა, კარგია, როცა შეჯიბრებაში ბევრი სპორტსმენი გამოდის. ეს ნიშნავს, რომ პერსპექტიული ათლეტები გვყავს, მაგრამ ყველაფერს ხომ თავისი რიგი და წესი აქვს. შეჯიბრებაზე წინასწარი ვარაუდით 170 მოჭიდავე უნდა ჩამოსულიყო და ორგანიზატორებმაც შესაბამისი თადარიგი დაიპირეს. 250 სტუმრის დაბინავება კი არც ისე ადვილი აღმოჩნდა. კიდევ კარგი, რომ ადგილობრივმა ხელმძღვანელებმა ყველაფერი იფონეს და ამ კრიტიკული მდგომარეობიდან

გამოსავალი გამოიხსნეს, მონაწილეთა მიზღვევებამ მსაჯთა კოლეგიაც გამოავალ მდგომარეობაში ჩააყენა და ამიტომ ტურნირი ყოველგვარი შესვენებების გარეშე ჩატარდა. ერთ სიტყვით, დებულეების დაცვა საკვალდებულოა. მერე რა, რომ ზედმეტი მოჭიდავეები გუნდებმა თავიანთ ზარზე ჩამოყვანეს, ვიმეორებთ: ტურნირის ორგანიზატორებს ანგარიში უნდა გაუფიქროთ.

როგორც ჩანს, ტურნირის შედეგებით ეკაფილი ხარ. — ცხინვალში ბევრი გუნდი მომზადებულია ჩამოვიდა, რისთვისაც ისინი ქებას იმსახურებენ, განსაკუთრებით თბილისის, გორის, სოხუმის, საგარეჯოს, რუსთავის, ქასპის კოლექტივები. სამაზო ადგილებზე სწორედ ამ გუნდების წარმომადგენლები გავიდნენ.

შეჯიბრება, ვიმეორებ, კარგად იყო ორგანიზებული, მაგრამ ერთ-ერთი ცნობა მას ჩრდილი მიაყენა. რუსეთში კარგად მომზადებული კოლეტივები შორის დავახსენებ, მაგრამ... საყვედურს იმსახურებს გუნდის მწვრთნელი ვ. ჩიხრაძე. საღამოს თათბირს, რომელზეც მონაწილეებს შეჯიბრების ფორმულა გაგვაცანით, იგი არ დაესწრო და შეორე დღეს მსაჯებს სრულიად უხაფუძვლოდ შეეკამათა, თან ნორჩ სპორტსმენთა მშობლებიც აიყოლია. არადა, შეჯიბრების ფორმულა წინა დამეს ყველამ ერთად დავამტკიცეთ. განაწყენებულმა ჩიხრაძემ ერთ-ერთი თავისი მოწაფე შუა ბრძოლიდან თვითნებურად გაიყვანა. ამ ფაქტზე არ შეგჩირდებოდით, ჩიხრაძეს ზედმეტი პირველობა ხხვა დროსაც რომ არ გამოეჩინა. დამთავრებულთა ალბათ, ნორჩ სპორტსმენებს მწვრთნელი ახეც მსაჯოთის არ უნდა აძლევდეს.



რესპუბლიკის სპორტსმენთა მონაწილეობით

დამაჯარებელი ბანასხალი

სპორტის ყველა სახეობაში ყოველ წელს მტკიცდება ასპარეზობა ახალი საკავშირო კოლენდარი, იგეგმება შეჯიბრებები, რომლებშიც ნაჩვენებ შედეგებსაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ქვეყნის ნაკრების დაკომპლექტებისას.

მესტენდურეთის წლის პირველ მნიშვნელოვან შეჯიბრებად ითვლება ტაშენტის საკავშირო ტურნირი ცნობილი საბჭოთა მსროლელის კ. კონდრატიევის პრიზზე. ტაშენტში გამოსვლა სავალდებულოა ქვეყნის მესტენდურეთა ნაკრების ყველა წევრის და წევრობის კანდიდატებისთვის. მათთან ერთად, შეჯიბრებაში მონაწილეობენ შუა აზიის მოკავშირე რესპუბლიკების ნაკრები გუნდები.

სპორტული სეზონი ეს-ესაა დაიწყო, მაგრამ მესტენდურებმა უკვე კარგი მოზადება გამოავლინეს. როგორც ყოველთვის, ახლაც მოწოდების სიმალეზე აღმოჩნდა მსოფლიოს ექსპერიმენტი თამაზ იმანიშვილი, რომელმაც მრავალ სტენდზე სროლაში საერთაშორისო კლასის შედეგი აჩვენა — 200 შესაძლებელიდან 198 ქულა მოაგროვა და მეორე ადგილი დაიკავა. თამაზმა დამაჯარებელი განაცხადი გააკეთა ნაკრებში დასამკვიდრებლად. მას ერთი ქულით აჭობა უსტინოველმა ანდრეი როდონოვმა, რომელმაც მხოლოდ ერთხელ ააცივნა სამიზნეს — 199.

საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს მიეძღვნა


თბილისი-პატარქული-თბილისი

ნაღვივალა მებრძოლი, რაც საქართველოს კომკავშირის კულტურის სახელმძღვანელოდ ველომოყვარულთა სექცია თედო ნიკოლაიშვილის ხელმძღვანელობით. ეს ჯგუფი ერთხანს მხოლოდ საქუთარი ძალებით ცდილობდა ამ სახეობის პოპულარიზაციას, ახლა მას დიდ დახმარებას უწევს თბილისის განათლების სამმართველოს ველოსპორტის სკოლა (დირექტორი იოსებ გოცირიძე).

ორიოდე დღის წინ კულტურის სახლის სექციისა და სპორტული სკოლის ძალებით მოეწყო ველოგადარბენა მარშრუტით თბილისი-პატარქული-თბილისი, რომელიც საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს მიეძღვნა.

აქვე უნდა ითქვას, რომ ველომოყვარულებს საიმედო მოკავშირე გამოუჩნდათ თბილისის ტურისტული კლუბის სახითაც. ახლა სექციის ყველა წევრი საბჭოთა კავშირის ტურისტის სამკერდე ნიშანს ატარებს.

სურათზე: ველომოყვარულები დისტანციაზე; პატარქულში.



მეკრე, მათა, მეთორკება...

გარემონის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქებში იოპანგორიანი მუშაობის და კლინიკებში გაიმართა თბილისურებით ტრამპლინიდან მტომელოთა საერთაშორისო შეჯიბრება — „დინამიკა“, რომლის სტარტზე სხვადასხვა ქვეყნის 46 სპორტსმენი გამოვიდა. მონაწილეთა შორის იყო ორი ქართველი მტომელიც, ორივე სპორტის ოსტატი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები — პირველკურსელი ანა წაქაძე (ბაკურიანი) და მეორეკურსელი ელგუჯა ორჯონიკიძე (წაღვირი).

პირველ დღეს შეჯიბრება გაიმართა 60-მეტრიან ტრამპლინზე, მომდევნო დღეს კი — 80-მეტრიანზე. პატარა ტრამპლინიდან ე. ორჯონიკიძე 63,5 და 69,5 მეტრზე გადახტა და VIII ადგილზე გავიდა. კ. წაქაძემ 61,5 და 66,5 მეტრზე იფრინა და მეათე ადგილი დაიკავა.

ორჯონიკიძემ დიდი ტრამპლინიდან ხტომაშიც VIII შედეგი აჩვენა (ნახტომები 88 და 80 მეტრზე). წაქაძემ ამჯერად მე-12 იყო (ნახტომები — ორივეჯერ 78,5 მეტრზე). ახლა ჩვენი მტომელები ეზადებიან საერთაშორისო ტურნირ „მეგობრობისათვის“, რომელიც პოლონეთში 10 მარტს დაიწყება. 2-3 აპრილს კი ისინი იუჯენი-სახალინსკში გამოვლენ სსრ კავშირის გუნდურ ჩემპიონატში.

„ლელოს“ კორ.

ჭაბუკ ქიუდოსტა ტურნირზე

წინასწარად გაიმართა 1972-73 წლებში დაბადებულ ქიუდოსტთა საკავშირო ტრადიციული ტურნირი, რომელშიც ქვეყნის 21 ქალაქის მოქიდაეებმა იასპარეზეს. ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ ღირსებას იცავდნენ თბილისის განათლების სამმართველოს ჰიდობის სპეციალიზებული სპორტული სკოლის აღსაზრდელები. ყველა მებრძოლი დაამარცხეს და პირველი ადგილები დაიკავეს ზაზა ჭოხურბაძე (83 კგ) და მე-2-ე ადგილი იკავა (+83 კგ). მე-3-ე ადგილზე გავიდა ირაკლი უზნაძე (57 კგ). ჩვენმა ქიუდოსტებმა (მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ოთარ ნატროშვილი) გუნდურ ჩათვლაში მესამე ადგილი დაიკავეს.

საბჭოთა ოლიმპიური ნაკრები

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ოლიმპიური ნაკრები ეზადება მომავალი შესარჩევი მატჩებისთვის. ჩვენმა ოლიმპიელებმა უკვე გამართეს რამდენიმე ამხანაგური შეხვედრა, შემდეგ ინდოეთში გაიმარჯვეს ჯავაპარალ ნერუს სსოვნიასდში მიძღვნილ საერთაშორისო ტურნირში. გუნდს ზღმძღვანელობს კიევის „დინამოს“ ყოფილი წევრი ანატოლი ბიშოვეცი, ოლიმპიურ ნაკრებში მიწვეული არიან ჩვენი ქვეყნის უღმრთესი კლუბების



სსრ კავშირის ფეხბურთელთა ოლიმპიური ნაკრები

ტრადიციული დასასრული

მემაქვან სართულიდან ვაღმობტა და თვითმკვლელობით დაასრულა ცხოვრება ბრაზილიის ფეხბურთელთა ნაკრების ყოფილი მკარამე კარლოს ეოზე კასტილიომ. იგი 59 წლისა იყო.

როგორც „ჟორნალ დო ბრაზილი“ იუწყება, კასტილიომ ბოლო ხანებში ღებრისულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ამას ადასტურებენ ყოფილი ფეხბურთელის მეზობლები.

ინანენი — „კიოლნში“ დანიელი ფეხბურთელი 19 წლის იან ინანენი, რომელსაც დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ, კოპენჰაგენის „ბოლდკლუბიდან“ გერმანიაში „კიოლნი“ გადავიდა.

ალეგორ „ალბანოკოში“ იტალიაში პარპა ხნის დეა პორტუგალიის „ბელანეშას“ და მადრიდის „ატლეტიკოს“ შორის ცნობილი ბრაზილიელი ფეხბურთელის ალემას თა-

1987 წელი

- 15. IV. თურქეთი — სსრ კავშირი
16. IV. შვეიცარია — ბულგარეთი
6. V. ნორვეგია — თურქეთი

1988 წელი


- 6. IV. სსრ კავშირი — თურქეთი
13. IV. ბულგარეთი — შვეიცარია
24. IV. სსრ კავშირი — ბულგარეთი
18. XI. სსრ კავშირი — შვეიცარია
25. V. ბულგარეთი — თურქეთი

სურათზე: სსრ კავშირის ფეხბურთელთა ოლიმპიური ნაკრები: პირველი რიგში — ნ. ხაგიჩვი, ვ. ლოსევი, ი. სკლოპოვი, ო. მოროზოვი, ი. ხაგიჩვი, ი. დობროვოლსკი; მეორე რიგში — ე. კუზნეცოვი, გ. კეტაშვილი, ა. აფანასიევი, ექიმი ზ. ორჯონიკიძე, უფროსი მწვრთნელი ა. ბიშოვეცი, მწვრთნელი ვ. ხალოვი, ნ. ვორობიოვი, ა. ვორობიოვი, მასაჟისტი ვ. ხანკოვი; მესამე რიგში — დ. ხარინი, ს. დმიტრიევი, ვ. ტიშჩენკო, ე. იაროვენიკო, ვ. ლიუტი, ვ. პანჩიკო, ა. მისაილიჩენკო, ა. იანონისი, ს. ჩერჩენკო.

ი. უტკინის ფოტო (სა.დესი).

ლუდუ ჯორჯანსუ კვლავ მწვრთნელი

„ომკოს ბუშის“ ორჯონის (1975 და 1977 წლები) ლაურეატი, რუმინელი ფეხბურთელი ლუდუ ჯორჯესკუ 37 წლისაა, მაგრამ ფეხბურთთან გამოთხოვებას არ აპირებს. თავისი საუკეთესო წლები მან ბუქარესტის „დინამოში“ გაატარა, 1983 წლიდან ბუზის „გლორიაში“ თამაშობდა, შემდეგ — მორენის „ფიკარში“. დ. ჯორჯესკემ რუმინეთის ჩემპიონატის 367 მატჩში მიიღო მონაწილეობა და 250 ბურთი გაიტანა.



სსრ კავშირის ფეხბურთელთა ოლიმპიური ნაკრები

სროლის საკავშირო კვირული

გთავაზობთ ცნობებს, რომლებიც გუშინ მივიღეთ რედაქციაში.

ზაზაგვის რაიონი. რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ კობა კობაიძემ გვაცნობა: სროლის კვირეულის მასობრივ ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღეს სკოლების IX-X კლასების მოსწავლეებმა და შრომითი კოლექტივების წარმომადგენლებმა. მშდ კომპლექსის ნორმატივის ჩაბარების გარდა ზოგიერთმა თანრიგის მოთხონაც შეასრულა.

თბილისი. პროტექციული სასწავლებლების მოსწავლეები ერთი კვირის განმავლობაში სისტემატურად აკითხავდნენ ქალაქის სასწავლებლებში არსებულ 6 ტირს. სულ შეჯიბრებებში 3100 მოსწავლე გამოვიდა. 21-22 თებერვალს გაიმართა რესპუბლიკური შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს რჩეულმა მსროლელებმა.

საბურთალოს რაიონი. სროლის კვირეულის დღეებში მოზარდი თაობის სტუმრები იყვნენ შრომის, ომისა და სპორტის ვეტერანები, ახალგაზრდები შეხვედრებში აგრეთვე მეთორკებს, რომლებმაც თავიანთი ინტერნაციონალური ვალი მოიხადეს ავღანეთში. ასე რომ, სპორტული და დოსაფის ორგანიზაციების მონღომებით, რაიონის მოსწავლე ახალგაზრდობისთვის კვირეული პარტიკული და ინტერნაციონალური აღზრდის ღონისძიებები იქცა.

თბილისის განათლების სამმართველოს ფიქულტურისა და სპორტის განყოფილებამ გვაცნობა: სროლის საკავშირო კვირეული ჩაატარა ქალაქის ყველა სკოლამ. სტარტზე გამოვიდა მაღალი კლასების 40 ათასამდე მოსწავლე. შემდეგ მოეწყო ქალაქის პირველობა რაიონების ნაკრებ გუნდებს შორის, რომელშიც რაიონში გამარჯვებული გუნდები ჩაებნენ. პირველ ადგილზე გავიდა ლენინის რაიონი (138-ე სკოლა), მეორეზე — 26 კომისრის რაიონი (87-ე სკოლა), მესამეზე — საქარხნი რაიონი (156-ე სკოლა).

სამხრეთის რაიონი. რაიონში სულ ხუთი ტირია. სოფელ ლანჩის ტირი. კვირეულის დღეებში კეთილმოეწყო. დოსაფმა და რაიონის სპორტკომიტეტმა რაიონისა და ქალაქის საშუალო და მწლიან სკოლებს შორის პირველობები ცალ-ცალკე ჩაატარეს. შეჯიბრებები თვის ბოლომდე გაგრძელდება.

ახალგაზრდების ჯარიმ დაღმა

(დასასრული)

ქვას, რომ თბილისელმა მეორე მკვარის პრობლემა დიდი ხანია გადაჭრეს, გიორგაძის შემცველ ტუ-კვადს ბევრი უმაღლესი ლიგის გუნდი ინატრებს. დიას, მან ამკვარდაც გაამართლა იმედი.

„ლოკომოტივი“ შეხვედრაში სარბიელურ პირველად ვიხილეთ ახალგაზრდა რამიშვილი, რომელმაც საკვამირო სპორტკაციაზე გამოიჩინა თავი. იგი მოსკოვში გამოგზავრებამდე შეუძლოდ იყო, ამიტომ მწვრთნელებმა გუნდის ღირსების დაცვა აქამდე ვერ ანდეს. ვფიქრობთ, რამიშვილმა ხარკოველებთან

მატჩში იმედი გაამართლა. იგი გაბედულად, თამაშად უტევდა მეტოქის კარს. დაგვაშასტოვრდა მისი რამდენიმე მახვილგონივრული გადაცემა.

თბილისელებმა, მიუხედავად იმისა, რომ მინიმალური ანგარიშით გაიმარჯვეს, მაინც იოლად, ძალეუბის დაზოგვით მიაღწიეს წარმატებას.

მეტოქე მხოლოდ ერთხელ დაწინაურდა, როცა ანგარიში გახსნა. ორჯერაც ანგარიში გათანაბრდა, მაგრამ ეს იყო პირველი პერიოდის დასაწყისში, შემდეგ კი თბილისელები თანდათან დაწინაურდნენ. ორჯერ (მეორე და მესამე პერიოდებში) ისინი ოთხი ბურთითაც კი იგ-

ებდნენ შეხვედრას. მათ საბოლოო გამარჯვებაში მამინაც კი არაღის შეპარვია ეჭვი, როცა მეოთხე პერიოდში ანგარიში სხვაობა მინიმუმამდე შემცირდა. ამ დროს სარბიელზე კვლავ ვიხილეთ თბილისელთა საბრძოლო შემადგენლობა, რომელმაც გამარჯვებით დაავიჯვინა ბრძოლა.

გუნდის დანარჩენი შეხვედრები ასე დაითავრდა: შუგ (სევესტოპოლი) — სსფ ცსკ (მოსკოვი) — 6:7, „ბალტიკა“ (ლენინგრადი) — „უნივერსიტეტი“ (მოსკოვი) — 5:12.

დღეისათვის მოსკოვის ჯგუფში ლიდერობენ თბილისის „დინამოსა“

და მოსკოვის უნივერსიტეტის წყალბურთელები, რომლებმაც ყველა შეხვედრა მოიგეს.

კაპიტანილ გუარასაშვილი,
ჩვენი სპეც. კორ.
მოსკოვი.

ალმა-ათი. წარუმატებლად ატარებს სასტარტო შეხვედრებს ბაქოს წითელდროშოვანი კასპის ფლოტილის გუნდი. 23 თებერვალს მეზღვაურებმა ზღვიზედ მესამე დამარცხება განიცადეს. ამჯერად მათ „მოსკოვის“ წყალბურთელებმა აჯობეს — 12:10 (4:2, 6:2, 2:2, 0:4).

სამსამი გამარჯვება აქვთ საბჭოთა კავშირის ჩემპიონსა და ვიცე-ჩემპიონს მოსკოვისა და ალმა-ათის დანამოელებს. მოსკოველებმა დამარცხეს ლოგველი თანაკლუბელები — 13:8 (3:1, 5:3, 3:2, 2:2), ალმათე-

ლებმა კი კიევის „დინამო“ — 9:6 (4:1, 1:2, 1:2, 3:1).

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა	მწვრთნელი	მოსტრინი	გაგზავნი	თ. მ. წ. ქ.
„უნივერ.“ (მოსკ.)	გ. ბ. ბ.	გ. ბ. ბ.	გ. ბ. ბ.	82-14 6
„დინამო“ (თბ.)	გ. ბ. ბ.	გ. ბ. ბ.	გ. ბ. ბ.	26-28 6
სსფ ცსკ	გ. ბ. ბ.	გ. ბ. ბ.	გ. ბ. ბ.	27-20 4
„ლოკომ.“ (ხარკ.)	გ. ბ. ბ.	გ. ბ. ბ.	გ. ბ. ბ.	16-23 2
„შუგ (სევესტ.)“	გ. ბ. ბ.	გ. ბ. ბ.	გ. ბ. ბ.	20-24 0
„ბალტიკა“ (ლენ.)	გ. ბ. ბ.	გ. ბ. ბ.	გ. ბ. ბ.	12-23 0

ალმა-ათის ჯგუფი

„დინამო“ (მოსკ.)	გ. ბ. ბ.	გ. ბ. ბ.	გ. ბ. ბ.	85-25 6
„დინამო“ (ა-ათა)	გ. ბ. ბ.	გ. ბ. ბ.	გ. ბ. ბ.	27-20 6
„დინამო“ (ლოგვი)	გ. ბ. ბ.	გ. ბ. ბ.	გ. ბ. ბ.	28-22 2
„დინამო“ (კიევი)	გ. ბ. ბ.	გ. ბ. ბ.	გ. ბ. ბ.	25-29 2
„მოსკოვი“	გ. ბ. ბ.	გ. ბ. ბ.	გ. ბ. ბ.	25-27 2
კსფ (ბაქო)	გ. ბ. ბ.	გ. ბ. ბ.	გ. ბ. ბ.	26-23 0

„დედოფლის“ რაინდი

ოთხზღვის ოლიმპიური ჩემპიონი, ფინელი ლასე ვირენი ამბობდა: „კლარკი ჩემი იდეალია. რბენის დროს თვალწინ მუდამ კლარკი მიდგას. იგი თითქმის ჩემს წინ მირბის და გზას მიჩვენებს“. ასეთი აღიარება ბევრ ცნობილ სპორტსმენს არ ღირსებია.

რონალდ უილიამ კლარკი დაიბადა 1937 წლის 21 თებერვალს. გასულ შაბათს მას 50 წელი შეუსრულდა. კლარკს ბედმა გაუღიმა — სპორტულ ოჯახში დაიბადა. მამამისი ბიძანვე შეეჩვია ფიზიკურ დატვირთვას. მამამისი ეუბნებოდა, თუ გინდა ბანაობაში გარგას, მის შემდეგ ქვიშაში უნდა ირბინო. ირონდული წარმოშობის წინაპრები ჰყავდა, მამამისი ერთ დროს ვიქტორიის შტატის საუკეთესო ფეხბურთელი იყო, თამაშობდა კრიკეტს, ჩოგბურთს, დარბოდა. მამა ჯეკი, არქიტექტორი, ასევე კარგი ფეხბურთელი, ერთ-ერთი უძლიერესი ცენტრალური თავდასხმელი და გუნდის კაპიტანი იყო ავსტრალიაში.

კლარკს თავიდანვე ასწავლეს, რომ მარცხმა ძალიან არ უნდა დაეწყვიტოს გული. მარცხი უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ გაყვითლი მომავლისათვის; მამამისი ცდილობდა შეეჩვია არ შეეზღუდა თავისი რჩევებით, თუმცა, ყოველთვის ჩაავიწყებდა, რომ სპორტი განტვირთვა და რომ ცხოვრებაში მთავარია ნამდვილი პროფესია გქონდეს.

კლარკს პირველი მწვრთნელი იყო პერსი ჩერტო (ლენინგრადული ჰერბერტ ელიოტისა და ჯონ ლენდის მწვრთნელი). მაგრამ მასთან ვერ გაჩერდა დიხხანს. ერთხანს მას ჯონ ლენდი ეხმარებოდა. ილირითა შეჯიბრებებში კლარკმა საკმაოდ მაღალ შედეგებს მიაღწია: ავსტრალიის 12 რეკორდი გააუმჯობესა. მისთვის თავიდანვე საბავალითა პირიქედმა მსოფლიო რეკორდსმენი ჯონ ლენდი იყო — ცნობილი მორბენალი და შესანიშნავი აღმზიანი. კლარკისთვის ეს კაცი თავმდაბლობის, კეთილშობილებისა და დიდულოვნების განსახიერება იყო.

აი, ერთი ეპიზოდი მათი ურთიერთობიდან. ჯონ ლენდი კლარკზე გაიკლვით უფროსი იყო. 1956 წელს ავსტრალიის ჩემპიონატში 1 მილზე ჯონ ლენდი ფავორიტი იყო და იგი მსოფლიოს ახალი რეკორდის დამყარებელი აპირებდა. ამ გარემოში კლარკი და სხვა ძლიერი სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ. შუა დისტანციებზე კლარკს ერთმა მორბენალმა შემთხვევით ფეხზე ფეხი დააბიჯა და იგი წაიქცა. ჯონ ლენდი, რომელიც მას მიჰყვებოდა, იძულებული იყო ზევიდან გადახტომოდა კლარკს. ამ ნახტომის დროს ლენდი უცაბედად ფეხსაცმლის ქა-ცივით ხელი გაუჩხაბა ახალგაზრდა მეტოქეს. დანარჩენი მორბენლებიც, რომლებიც უკანა რიგებში მობრუნდნენ, ასევე ზევიდან ევლებოდნენ წაქცეულს. უეცრად ჯონ ლენდი უკან მობრუნდა, რათა ბოლოში მო-

ეხნადა კლარკისათვის და დახმარება გაეწია. იმ მომენტში მას აღარ ახსოვდა არც მსოფლიო რეკორდი და არც მოახლოებული ოლიმპიური თამაშები. დიას, ჯონ ლენდი სხვათაგან ვერ მოიქცევოდა. ისინი ლიდერთა ჯგუფს 50 მეტრით ჩამორჩნენ. მიუხედავად ამისა, ლენდიმ შეუძლებელი გააკეთა, ის არა მარტო დაეწია ლიდერთა ჯგუფს, არამედ ფინიშთან პირველიც კი მიიქცა. კლარკი მეხუთე იყო. ტრიბუნებზე ოცადებები არ წყდებოდა. მეორე დღეს გახეთქილად აღფრთოვანებით წერდნენ: ლენდის ეს საქციელი უფრო მეტი იყო, ვიდრე მსოფლიო რეკორდის დამყარება. ეს ინსტიტუტი მოქმედებდა იყო, რომელშიც გამოვლინდა ნამდვილი აღმზიანის ბუნება.

1956 წელს კლარკი ვერ მოხვდა ოლიმპიურ გუნდში. მას ხელი შეუწავლა სამხედრო შეკრებამ.

მელბურნის ოლიმპიადის გახსნაზე, 19 წლის რონ კლარკს ოლიმპიური ცეცხლის ანთება დაავალეს. ეს უკვე ახალგაზრდა მორბენლის დიდი აღიარება იყო. ჩირაღდნით ხელში მორბენალმა შესაშური მამაცობა გამოიჩინა, სირბილის დროს ჩირაღდნიდან გადმოცვივლი ნაპერწკლები ხელს უწყვედა მას, მაგრამ კლარკმა გაუძლო ტკივილს. ოლიმპიადის დროს მასზე დიდი გავლენა მოახდინა კუცის გამარჯვებებმა.

მელბურნის ოლიმპიადის შემდეგ კლარკი უკვე ძველებურად ინტენსიურად ვეღარ ვარჯიშობდა. ერთხანს იგი „თრექ ენდ ფილდის“ (მძლეოსნობის პოპულარული კურსნალია) კორესპონდენტად მუშაობდა. 1960 წლიდან კი მტკიცედ გადაწყვიტა ყველაფერი თავიდან დაეწყო. ამ დროს იგი 24 წლის იყო. ამინდის მიუხედავად, წვიმა იყო თუ სეტყვა, სიცხე თუ სიცივე, ყოველ სიღამის 10 მილს ვარბოდა. „ეს დიდი შეგება იყო, — ამბობდა იგი, — მე არ ვთვლიდი ამას მძიმე შრომად; პირიქით, მოუთმენლად ველოდი სამსახურში ჯდომით და-ლოლი“. თან იგი ხომ მარტო არ ვარჯიშობდა. მას ჰყავდა მეგობრები და ყველაფერი ეს დალლას უმსუბუქებდა.

მისი პირველი დიდი წარმატება იყო პეტრში, ბრიტანეთის თამაშებში, 3 მილზე რბენაში მიღებული ვერცხლის მედალი. 1963 წლიდან იგი უკვე საერთაშორისო კლასის მორბენალია. ჯერ მელბურნში დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი 1000 მეტრზე და 6 მილზე რბენაში, შემდეგ კი დაიწყო ტურნეები ამერიკაში, ევროპაში, მისთვის დიდი სკოლა იყო.

„მწელია მარცხი, როცა მას არ მოელო — ამბობდა იგი — მაგრამ ასეთია სპორტი და ყოველთვის უნდა გახსოვდეს, შესაძლოა მეტი იმით რომ იმარჯვებ, რომ შენი მეტოქეები არ არიან საუკეთესო ფორმაში“. კლარკი თავს არ არიდებდა შეჯიბრებებს. მას ყოველთვის სურდა სკოლირდა როგორი მომზადებული იყო.

1964 წელს ტოკიოს ოლიმპიადებზე კლარკს ფავორიტად ითვლებოდა, მაგრამ მას მაინც ბრინჯაოს მედალი ერგო. 10-კილომეტრიან დისტანციებზე გაიმარჯვა უილიამ მილსმა — ამერიკელმა ინდიელმა სოსუს ტომიდან. ეს ახალგაზრდა სპორტსმენი მანამდე არ გამოირჩეოდა მაღალი შედეგებით. (სხვათა შორის, მილსი ასრულებს მთავარ როლს ამერიკულ მხატვრულ ფილმში „გაბედული მორბენალი“. იქ იგი თავის თავს განასახიერებს).

1965 წელს კლარკმა პირდაპირ განცვიფრებაში მოიყვანა მძლეოსნობის სპეციალისტები და გულმეტყველები — რეკორდები დაამყარა სამ დისტანციაზე — 3 მილზე (12.52,4), 6 მილზე (26.47,0), ხოლო 10 კმ-ზე-27.39,4. თანაც ამ მანძილზე ძველი მსოფლიო რეკორდი 36,4 წმ-ით (!!) გააუმჯობესა; და ყველაფერ ამას მხოლოდ 4 დღე მოახდომა! მისიდან ივლისამდე კიდევ 16 შეჯიბრებაში მიიღო მონაწილეობა და 12 მსოფლიო რეკორდი გააუმჯობესა!

კლარკი დიდ ყურადღებას აქცევდა კვებას. არ ჰქონდა მონარშულს, მოთუშულს, ზეთით შემზადებულ კერძებს, არ სვამდა ჩაის, ყავას, სამაგიეროდ კვერცხს, ბოსტნეულს, ხილს, რძეს, ნაყინს, თავლს და წველებს ღებულობდა. სხვა დიდი სპორტსმენებისაგან განსხვავებით ხშირად დადიოდა თეატრებში, კო-



ნცერტებზე. კლარკი უღირსად პარამიონულად განვითარებული სპორტსმენი იყო. ვარდა იმისა, რომ და-რბოდა, კარგადაც უყრავდა, თამაშობდა კრიკეტს, ბალმინტონს, რაც მას სისწრაფეს და მოქნილობას სძენდა.

ხშირად მონაწილეობდა შეჯიბრებებში. პატოსანი ბრძოლა! — აი, აზრი მისი ცხოვრებისა დიდ სპორტში. რიგით სპორტსმენს რომ ეთქვა, ჩემთვის შეჯიბრების შედეგს მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია ის, რომ მასში გიმონაწილეობა, ჩვენ მას ალბათ არ დაეუფრებდით. მაგრამ 19 მსოფლიო რეკორდის მფლობელი გულახდილობაში არ შეიძლება ექვი შეგვაპროს. (პავლე ნურმის შემდეგ ყველაზე მეტი მსოფლიო რეკორდი მძლეოსნობაში კლარკს ეკუთვნის). 1965 წელს კლარკი წლის საუკეთესო სპორტსმენად აღიარეს. ფრანგული გაზეთი „ეპიზი“ წერდა: „კლარკის ყოველ გამოსვლის ბილი-ქზე შეიძლება ვუწოდოთ „პეიერა-ცია“ — მსოფლიო რეკორდი“. ის არა მარტო თვითონ ამყარებდა რეკორდებს, არამედ თავისი მაღალი ტემპით მეტოქეებსაც ეხმარებოდა რეკორდების დამყარებაში.

აი, როგორ მსჯელობდა კლარკი: „მე მინახდა, როცა კვირის განმე-ვლობაში 100 მილს და მეტს ვვარავ, რომ არ მიხაროდეს, არც ვირბენდი. რა არის ბედნიერება? ზოგისთვის ესაა საყვარელი ლეკვი ან ქიქა ცი-

ვი ლუდი. მე ბედნიერი ვარ, როცა ვარ ბუნების წილში, მეგობრებთან ერთად. აღმზიანი, რომელიც მტკიცედ ვარჯიშობს არჩეულ სახეობაში, ამ საქმიანობიდან მაქსიმალურ სარგებლობას მიიღებს. ნებისმიერი შეჯიბრება უფერულად, უსიხარულად ჩაივლის, თუ ერთ-ერთი მონაწილე მაინც მთელი ძალებით არ ეცდება გამარჯვებას. ჩემი აზრით, მთავარია თვით შეჯიბრების მომენტი, შედეგს მნიშვნელობა ეკარგება. მე ასე მჯერა, პაეჩრობაში სიხარულს განიცდებს თვით ბრძოლის მსვლელობა, დამაბული ბრძოლა. მერწმუნებ, ამ ბრძოლის შედეგი უკვე აღარაა მნიშვნელოვანი, ხშირად უშრომელად მოგვებულ შეჯიბრება უფრო ნაკლებ სიხარულს მანიჭებდა, ვიდრე ნამდვილ ბრძოლაში ფინიშზე წაგებული ბრძოლა. იქნებ იმის გამო, რომ მარცხი მე ნაკლებად მანაღლეოანებდა, ზალხი ფიქრობდა რომ მე სუსტი ხასიათი მაქვს. ეს არაა სწორი. შესაძლოა, მე მარცხს ვეგუები შედარებით იოლად, ვიდრე სხვები, მაგრამ ასეთი პოზიცია არ ზღუდავს ჩემს და-უოკებელ სურვილს გაიმარჯვო ყველა შეჯიბრებაში, რომელშიც ემონაწილეობა“.

1968 წელს მეხიკოს ოლიმპიადებზე კლარკმა წარუმატებლად იას-მარცხა, V და VI ადგილი 5 და 10 კმ-ზე. მან ვერ აიტანა მაღალმთიანეთის კლიმატი და მედლები აფრიკელ სპორტსმენებს დაუთმო, თუმცა ძალიან კარგად იყო მომზადებული. ასეთივე ბედი ეწიათ სხვა ძლიერ სპორტსმენებსაც.

ისევე როგორც პავლე ნურმი, კლარკიც ძირითადად მწვრთნელის ვარჯიშით ვარჯიშობდა. იქნებ ამან ბევრი დააყო. მისი ძირითადი ვარჯიში იყო ხანგრძლივი სირბილი მთელი წლის განმავლობაში და ინტერვალური ვარჯიშები. ამით მან სრულყო თავისი კოხირი — მთელს დისტანციებზე ლიდერობა, რაშიც ბევრი მეტოქე ჩამორჩებოდა. კლარკი მთელი წლის განმავლობაში „სამ-ბრძოლო მზადყოფნაში“ იყო. ამბობდა, მე ვედილობ დისტანცია დაეფარო უფრო ჩქარა, ვიდრე ადრე, სულერთია როდის და სად მოხდება ეს. სწორედ ამნაირმა დამოკიდებულებამ შეაძლებინა მსოფლიოს რეკორდები დაემყარებინა 10 სხვადასხვა დისტანციაზე. სწორედ მისი ტაქტიკა — ზღვარს მიახლოებული მაღალი ტემპი — თრგუნავდა მეტოქეებს.

ბელგელმა მსოფლიო რეკორდსმენმა ემილ პუტემანსმა რონ კლარკს „მორბენლის იდეალი“ უწოდა, ეურნალისტები კი „დიდი უღებლს“ უწოდებდნენ, მძლეოსნობის ცნობილმა სპეციალისტმა, ამერიკელმა ფრედ უილტმ კი „მძლეოსანთა მეფე“ უწოდა.

დღეს რონ კლარკი 2 შვილის მამაა და ისევე ავსტრალიაში ცხოვრობს. რამდენიმე წლის წინ მან გადაიტანა ურთულესი ოპერაცია. მიუხედავად ამისა, საყვარელ საქმეს მაინც არ იფიწყებს, სისტემატურად ვარჯიშობს და აგრძელებს სირბილს ნელ ტემპში. როგორც თვითონ ამბობს, სირბილი მისთვის იგივეა, რაც ავტომობილის საჭესთან ჯდო-ვა. გამოჩენილი სპორტსმენი გამა-განსაღებელი რბენის დიდი პრო-პაგანდისტი.

„ყოველ დღით ვიღვიძებ სიხარულის გრძობით — დღეს უნდა ვირბინო“ — ამბობს რონ კლარკი.

მასალა მოამზადეს ვიორაბი და შალვა კოკოჩაშვილებმა.



საგაოთა კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

ვილნიუსსა და მინსკში

გრძელდება უმაღლესი ლიგის კალათბურთულ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ტურის მატჩები იმ გუნდებს შორის, რომლებიც VII-XII ადგილებისთვის იბრძვიან. ვთავაზობთ 21-22 თებერვლის შედეგებს.

ვილნიუსი. ადგილობრივი „სტატიბა“ მოსკოვის „დინამოს“ მასპინძლობდა. ორივე შეხვედრა დაძაბული ბრძოლით აღინიშნა. პირველი მასპინძლებმა მოიგეს — 105:101, მეორე — დინამოელებმა 93:92.

მინსკი. რადიოტექნიკის ინსტიტუტის კალათბურთული და კიევის არმიელთა შეხვედრაშიც მეტოქეებმა ქულები გაიყვეს. მინსკელებმა გაიმარჯვეს სამი ქულის უპირატესობით (89:86), კიეველებმა — 14 ქულით (75:61).

გათამაშების ცხრილი

თ. მ. წ. ქ.	
ასკ (კიევი)	80 15 15 45
„დინ.“ (მოსკოვი)	80 18 17 43
„სტატიბა“ (ვილნი.)	80 13 17 43
რტი (მინსკი)	80 10 20 30
„სტრიტ.“ (კიევი)	28 10 18 38
ასკ (ალმა-ათა)	28 9 19 37

სხვათა შორის

ხველაზე მაღალი და დაბალი

ალბათ საინტერესოა, ვინ არის კალათბურთის ეროვნული ასოციაციის ყველაზე დაბალი და მაღალი კალათბურთელი. პროფესიულ კალათბურთში ყველაზე დაბალი მოთამაშეა „ატალანტა პოლუსის“ მცველი სპრუდ უედი (168 სმ). მიუხედავად ამისა, ტანმორჩილი უედი, როგორც საკალათბურთო მიმოხილვაში ვნახეთ, სრულიად ადვილად აგდებს ბურთს ზემოდან კალათში ორი ხელით. პროფესიულ კალათბურთში ყველაზე ტანმოდელი მოთამაშეა „ჰიუსტონ როკეტის“ ცენტრალური თავდასხმელი რალფ სიმპსონი (224).

რედ აქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

ჩვენი მისამართი:
ჩარილებითვის — 380096.
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეკრეტიონისთვის — თბილისი, „ლელო“

რედაქციის ბალუონები:
სამედიცინო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
წერილებს განყოფილება — 93-97-55,
„მერანი“ — 93-97-26, „მარტივი“ — 93-97-27.

63050
050231:
66435

საქართველოს კ ც-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენისა ხტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოთხბურთი წესით საგაზეთო კორპუსში: ბოშარაულის, 29.
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 უე 06787